ოქმი:**ო31. 3126145001**
თარიღი:**25/05/2026**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

ოქმი №5

ქ. ლანჩხუთი

18. 05. 2026 წელი

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები მაია ლომთაძე და გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა თავმჯდომარე კარლო კვიტაიშვილი, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ია მოქია, საკრებულოს ფრაქცია ,,ხალხის ძალა“ თავმჯდომარე დარეჯან ბურჭულაძე, საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი ვარდენ კვაჭაძე, მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ალეკო კირვალიძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ ბიუროს სხდომის დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ მერიიდან შემოვიდა რამდენიმე საკითხი და მიმართა ბიუროს წევრებს, რომ აღნიშნული საკითხები დამატებოდა დღის წესრიგის პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ვარდენ კვაჭაძე/

2. ,,საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი ვარდენ კვაჭაძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქ. ლანჩხუთის ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრებში ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილების, საფასურის, რეგულირების წესისა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125^4 პუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის-ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ვარდენ კვაჭაძე/

4. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

5. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის აპრილის თვის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2026 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ალეკო კირვალიძე/

7. სხვადასხვა საკითხები.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის

პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის დაწყებამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ იმსჯელა საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღის შესახებ.

საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვრა 2026 წლის 27 მაისი 12:00 საათი.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა- პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა **ვარდენ კვაჭაძემ.** მან განმარტა, რომ „შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე, მუნიციპალიტეტები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესების დამტკიცება ან ამ წესების არსებობის შემთხვევაში მათი ამ კანონთან შესაბამისობა. აღნიშნულის საფუძველზე, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „რ“ ქვეპუნქტის თანახმად, დადგენილია შინაური ცხოველების ყოლის წესების (მათ შორის, შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობის, გასეირნების, მგზავრობისა და ღონისძიებებში მათი მონაწილეობის მოთხოვნების) დადგენა და უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა, შინაურ ბინადარ ცხოველთა მართვის სფეროში პოპულაციების მართვის (მათ შორის, იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის, სტერილიზაციის/კასტრაციის, მონიტორინგისა და თავშესაფრების ორგანიზების) უზრუნველყოფა. ვინაიდან ნორმატიული აქტის მისაღებად საკრებულომ უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება, მერიის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების მიერ მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების და ხარჯების ზრდას.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა- პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს დადგენილების პროექტის პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.
2. დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ „ხალხის ძალა“.
3. პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 27 მაისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების

მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი ვარდენ კვაჭაძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: ,,საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა **ვარდენ კვაჭაძემ.** მან განმარტა, რომ ,,საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N17 დადგენილების 1-ლი მუხლის ,,ა“ პუნქტით დამტკიცებულ N1-ლ დანართში ,,საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესში“ უნდა შევიდეს ცვლილება და დანართის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 209^3, 51^3, 53^3, 55-ე, 55^3, 127^1 მუხლის მე-5 ნაწილით, საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“ 31-ე–35-ე მუხლებით, 36-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 39-ე მუხლით, 43-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 46-ე მუხლით და საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-80 მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებს განიხილავს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური, გარდა საქართველოს კანონის „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 125^4 პუნქტის, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტისა და 239-ე მუხლის 14^1 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა.“

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. ,,საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 27 მაისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

2. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი ვარდენ კვაჭაძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქ. ლანჩხუთის ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრებში ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილების, საფასურის, რეგულირების წესისა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125^4 პუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის-ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა **ვარდენ კვაჭაძემ.** მან განმარტა, რომ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქ. ლანჩხუთის ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრებში, ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესი“ შემუშავებულია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის, ,,საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქ.ლანჩხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ორგანიზებისა და გზების ტრანსპორტისაგან განტვირთვის მიზნით. წესი განსაზღვრავს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის კომპეტენციას პარკირების რეგულირებისა და პარკირების სფეროს მართვის საკითხებში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ორგანიზების და კონტროლის განხორციელების სამართლებრივ მექანიზმებს. იგი ვრცელდება ყველა იმ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე, რომელიც ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქ. ლანჩხუთის ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრებში ჩერდება ან დგას ამ წესის შესაბამისად პარკირებისათვის გამოყოფილ ადგილებზე.

წესი, გარდა მე-2 მუხლის ,,ღ“ ქვეპუნქტისა და მე-13 მუხლისა, არ ვრცელდება იმ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე, რომელსაც თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელების მიზნით გამოიყენებენ ,,ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლით განსაზღვრული ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოების, აგრეთვე ,,სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, განსაზღვრულ სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დასაცავ პირთა სარგებლობაში არსებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე.

ავტოსატრანსპორტო საშუალების პარკირება დაიშვება პარკირების ადგილებზე, ასევე ყველა იმ ადგილზე, სადაც არ არის გაჩერების/დგომის აკრძალვის საგზაო ნიშანი ან გაჩერების/დგომის აკრძალვის საგზაო მონიშვნა, ან ამ წესითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა აკრძალვა. პარკირების ადგილები დატვირთვის მიხედვით იყოფა სხვადასხვა დანიშნულების ზონებად, დანართი N2 შესაბამისად.

პარკირების ფასიან ადგილებზე უფასო პარკირება დასაშვებია იმ ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის, რომელიც ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში გამოიყენება:
ა) საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილების ან ლიკვიდაციისათვის;
ბ) სასწრაფო- სამედიცინო დახმარებისთვის;
გ) ნებადართული სარემონტო ან სამშენებლო სამუშაოების წარმოებისათვის;
დ) დაგვა-დასუფთავებისთვის;
ე) ინკასაციისთვის;
ვ) ამ წესის პირველი მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ავტოსატრანსპორტო საშუალებისათვის;
პარკირების სფეროს მართვა ხორციელდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული შპს ,,ლანჩხუთის სატრანსპორტო კომპანიის“ (ს/ნ 433655822) მეშვეობით. პარკირების სფეროს სამართავად გადაცემის პირობებს ადგენს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია ამ წესისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია განსაზღვროს სპეციალური პარკირების ადგილები და პირობები. ფასიან პარკირების ადგილზე ავტოსატრანსპორტო საშუალების პარკირება შეიძლება საფასურის გადახდით. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საპარკინგე ადგილებზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების საფასურის და პარკირების წესების დარღვევისათვის, ასევე, პარკირების საფასურის გადაუხდელობისათვის ,,საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის“ 1254 მუხლით განსაზღვრული სამართალდარღვევისთვის გადახდის ვალდებულება უნდა განისაზღვროს 2026 წლის 01 აგვისტოდან.
2026 წლის 01 ივლისამდე პარკირების ოპერატორმა უნდა უზრუნველყოს მოსახლეობის საჯარო ინფორმირება ბეჭდური მედიის საშუალებით და ინფორმაციის გავრცელების სხვა მასობრივი საშუალებებით, აღნიშნული დადგენილების ამოქმედებასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელების შესახებ.
ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქ. ლანჩხუთის ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრებში ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილების, საფასურის, რეგულირების წესისა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125^4 პუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის-ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.

2. დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ „ხალხის ძალა“.

3. პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 27 მაისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი ვარდენ კვაჭაძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიში სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პირველ კვარტალში შემოსულობები მობილიზებულია 7562900 ლარი, აქედან გრანტების სახით მიღებულია 3103000 ლარი, მათ შორის - მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 188300 ლარი, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტებისათვის 2124790 ლარი, მოსწავლეთა ტრანსპორტირების დაფინანსებისათვის 399200 ლარი, სხვა ტრანსფერი 789900 ლარი, შემოსავლები კაპიტალურის ჩათვლით 4459954 ლარი, მათ შორის დამატებითი ღირებულების გადასახადი 3813400 ლარი, სხვა შემოსავლები 818800 ლარი, ჯარიმები, სანქციები და საურავების სახით მიღებულია 624000 ლარი.
საანალიზო პერიოდში გაწეული იქნა 10762900 ლარის საკასო ხარჯი, მათ შორის შტატით მომუშავეთა ანაზღაურებამ შეადგინა 2345700 ლარი, საქონელი და მომსახურების მუხლით გაიხარჯა 2346300 ლარი, აქედან შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე- 1106055 ლარი. სხვა საქონელი და მომსახურების ხარჯმა შეადგინა 2604100 ლარი, სუბსიდიის მუხლით დაფინანსებაზე მიმართულია 452500 ლარი, სოციალურ ღონისძიებებზე მიმართულია 2969200 ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდაზე მიმართულია 2683100 ლარი.

ბიუროს წევრების მიერ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიშთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

ცნობად იქნას მიღებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიში.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის აპრილის თვის შესრულების ანგარიში სხდომას წარუდგინა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის აპრილის თვეში შემოსულობები მობილიზებულია 3688159 ლარი, მათ შორის შემოსავლები 3688159 ლარი, გადასახადები-1263211 ლარი, დამატებითი ღირებულების გადასახადი - 1218117 ლარი. სხვა შემოსავლების სახით მიღებულია 377690 ლარი; მათ შორის, ჯარიმები, სანქციები და საურავების სახით მიღებულია 209207 ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გრანტების სახით მიღებულია 2047298 ლარი; მათ შორის - საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მიღებულია 1761091 ლარი.

საანალიზო თვეში გაწეული იქნა 4553240 ლარის საკასო ხარჯი. მათ შორის, შტატით მომუშავეთა შრომით ანაზღაურებაზე გაიცა 748761 ლარი; საქონელი და მომსახურების მუხლზე მიმართულია 952850 ლარი. მათ შორის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ღონისძიებებზე - 161016 ლარი; ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდაზე მიმართული იქნა 1715734 ლარი.

ბიუროს წევრების მიერ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის აპრილის თვის შესრულების ანგარიშთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

ცნობად იქნას მიღებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის აპრილის თვის შესრულების ანგარიში.

დღის წესრიგის მეექვსე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2026 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხომას გააცნო მერიის

ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა **ალეკო კირვალიძემ.** მისი განმარტებით, „სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტებიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად განსახილველად და მოსაწონებლად წარმოგიდგენილია ზემოთ აღნიშნული ფონდიდან 2026 წელს დასაფინანსებელი პროექტების ნუსხა. კერძოდ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში დაცული ტერიტორიებისკენ მიმავალი გზის რეაბილიტაცია, რომლის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 2667827 ლარს.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2026 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ”ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია.
2. განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ხალხის ძალა“.
3. პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 27 მაისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის უფროსის მ/შ ალეკო კირვალიძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

სხვადასხვა საკითხები:

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა თავმჯდომარემ **კარლო კვიტაიშვილმა** ყურადღება გაამხვილა რამდენიმე საკითხზე. კერძოდ:

✔ დაინტერესდა, თუ რა სიტუაციაა ქ.ლანჩხუთში მოსაცდელების მოწყობასთან დაკავშირებით;

✔ ძალიან დაზიანებულია ნაგვის ურნები და საჭიროებს განახლებას;

✔ ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს და უპასუხისმგებლო დამოკიდებულება აქვს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას. უკვე, თვეებია, რაც გადათხრილია ებრალიძის ქუჩაზე ახალ დაგებული ასფალტი, მაგრამ იძლევიან ფუჭ დაპირებას, რომ უახლოეს პერიოდში მოაგვარებენ სიტუაციას. გარდა ამისა, სამი წელია, ვერ

მოხერხდა საკანალიზაციო ჭებზე ცხაურების მოწყობა, რაც ძალიან საფრთხის შემცველია;

✔ ბოლო დროს ძალიან მომრავლდა ფაროსანა. საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა თავმჯდომარე დაინტერესდა, იგეგმება თუ არა ამ კუთხით შესაბამისი ღონისიებების გატარება.

✔ მისი თქმით, არის საუბარი დასუფთავების მოსაკრებელთან დაკავშირებით. რა სიტუაციაა და ცნობილია თუ არა, როდიდან შემოიღებენ გადასახადს.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** მოსაცდელებთან დაკავშირებით განმარტა, რომ კომპანია გაუშვეს დისკვალიფიკაციაზე და სავარაუდოდ, გამოცხადდება ახალი ტენდერი. რაც შეეხება გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას, ძალიან მოუწესრიგებელი სისტემა აქვს. კომპანიის მიერ დასრულებულ პროექტებთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემებია მუნიციპალიტეტის მასშტაბით. კერძოდ, აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ბაღლეფში, თავისუფლების ქუჩაზე და სხვ. მუნიციპალიტეტის მერი ასევე შეეხო ნაგვის ურნების საკითხს და აღნიშნა, რომ ამ კუთხით გათალისწინებულია 120000 ლარი და მოხდება განახლება, ასევე, მაქსიმალურად შეეცდებიან, რომ ურნები დაიდგას იმ უბნებში, სადაც არ არის. რაც შეეხება, დასუფთავების მოსაკრებელს, მიმდინარეობს მუშაობა ბოლო ფაზაზე და დაახლოებით, ერთ თვეში საკითხი დარეგულირდება. ოჯახზე მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრება მაქსიმუმ, 2 ლარით.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, **ზაზა წულაძემ** უკმაყოფილება გამოთქვა ნიგოითის ადმინისტრაციულ ერთეულში სტადიონთან დაკავშირებით შექმნილ სავალალო სიტუაციის გამო და აღნიშნა, რომ პრობლემა დროულად მოსაგვარებელია.

საკრებულოს ფრაქცია ,,ხალხის ძალა“ თავმჯდომარემ, **დარეჯან ბურჭულაძემ** აღნიშნა, რომ ახლოვდება ტურისტული სეზონი და მისასალმებელია ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში დაცული ტერიტორიებისკენ მიმავალი გზის რეაბილიტაცია. საკრებულოს ფრაქცია ,,ხალხის ძალა“ თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ ავარიულ მდგომარეობაშია და სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს ყოფილი სკოლა-ინტერნატის სამზარეულოს შენობა, რადგან იქ ხშირად თამაშობენ ბავშვები. ამის შემდეგ დაინტერესდა, თუ რა სიტუაციაა ორაგვესთან დაკავშირებით.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ ანალოგიური სიტუაციაა მაჩხვარეთის ადმინისტრაციულ ერთეულში ძველ სკოლასთან მიმართებაშიც. მუნიციპალიტეტის მხრიდან შესაბამისი უწყებებისთვის მიწოდებულია დეტალური ინფორმაცია სახელმწიფოს საკუთებაში არსებულ ავარიულ და საფრთხის შემცველ შენობებთან დაკავშირით, რათა დროულად მოხდეს მათი დემონტაჟი. რაც შეეხება ორაგვეს, ტენდერი დასრულებულია, განხორციელდება დაახლოებით 178000 ლარის ღირებულების სამუშაო, რის შემდეგაც ოფიციალურად დაიწყებს ზიპლაინი ფუნქციონირებას, შესაბამისად აუცილებლად მოხდება ობიექტის აუქციონზე გატანა.

ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი